3 ნოემბერს (16) 1867. № 44. მეოთხე წელიწადი.

დროება

ხელის-მოწერა მიიღება: ...

გაზეთის ფასი:

Тифлисъ и внутренние адреса:	Заграничныя:
Ერთის წლისა — 7 მან.	— — — 6 მან.
ნახევრის წლისა — 4 —	— — — 3 — 50 კ.
სამის თვისა — 2 — 50 კ.	— — — 2 —

Ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.
„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ბებუთოვის სახლში.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი **განცხადება** სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს „**დროების**“ ხელის-მომწერლებს, რომელთაც გაზეთის ფული ჯერ არ მოუციათ, შემოიტანონ ეს ფული.

შინაარსი: — „დროების“ განცხადება.— **პოლიტიკა:** **რუსის ინვალიდიდგან.**—**ტელეგრამმები.** **ა**—ღწერა რომელთამე ოსთა ამაოდ-მორწმუნეობათა. **ენერგია** და ახოვნება. **ლექსი:** აზრი ფაზელის თხზულებაზედ „შოშია.“ **სახაზინო** განცხადება. — **საბიბლიოგრაფო** ცნობა. — **პერძოობითი** განცხადება.

პოლიტიკა.

რუსის ინვალიდიდგან. ამ უკანასკნელს ჟამში მიღებულს მონიტორის ნომერში ჩვენ ვკითხულობთ შემდეგს ოფიციალურს განცხადებას: „პაპის სამფლობელოს საზღვარზე გადვიდნენ მერეოლუციების გუნდნი, და ამისთვის ფრანციის მთავრობამ განიზრახა ჯარის გაგზავნა ჩივიტტა—ვეკიაში. ეს ზომა არის ნახმარი ფრანციის მთავრობისაგან თავის ღირსებისა და პატიოსნების დასაცველად. მთავრობამ ვერ მოითმინა, რომ 15 სეკტემბრის კონვენციაში გამოცხადებული ფრანციის დაპირებაებისთვის ყური არ ეგდოთ და დაერღვიათ. ბარნა ფლორენტიის კაბინეტმა წარუგზავნა ტიულერის კაბინეტს თვით კატეგორიულნი განცხადებანი და დარწმუნებანი; იმის მხრით ყოველი ღონის ძიება ნახმარია, რათა ეწინააღმდეგოს **რომის** სამფლობელოში შეცვივნას და სრულიად აღასრულოს კონვენცია: ამისგამო იმპერატორმა ჯარის გადაყვანა რომის სამფლობელოში შეაჩერა. უ. რატაციმ სამსახურიდამ გადადგომის თხოვნა მისცა და ღენერალს ჩიალდინს მიანდეს ახალის სამინისტროს შედგენა.“

ზემოთმოხსენებულს ცნობებს შეაესებენ ფრანციის მთავრობის გაზეთები. როგორც ისინი ამბობენ, ტიულერის კაბინეტი მიიქცა ფლორენციის კაბინეტთან და მოითხოვა მისგან: 1) უსათუოთ იკისრონ, რომ აღჭურვილი კაცები საზღვარზე არ გადაუშვას; 2) დახურონ ყველა ეოლონტერების მოსაგროებელი კანტორები, და 3) გამოსცეს საკაროლო პროკლამაცია, რომელშიაც შეაგონებდეს იტალიელებს, რომ იმათის სამშობლოსაგან ნაკისრნი ვალდებულებანი არ დაარღვიონ. ის გაზეთები, რომლებისაგანაც ეს ცნობები შეეკრიბეთ, ერთ სიტყვასაც არ ამბობენ იმაზედ, დაუთმობს ფრანცია რასმე ფლორენციის კაბინეტს, თუ არა. აქამდის ამ საგანზე ნამდვილი არა ვიცით რა: ჩვენ შეგვიძლიან ისეც და ასეც ვიფიქროთ: მაგალითებრ: ზოგი ფიქრობს, ვითომც 15 სეკტემბრის კონვენციის შეცვლა უნდოდესთო; ფრანცუზული მთავრობის გაზეთი კი ამას ამტკიცებს, ვითომც ნაპოლეონს III-ს ჰსურდეს, რომ იტალიის საქმე დიდის სახელმწიფოების კონფერენციით გადასწყდეს. ჩვენის აზრითაც ასე სჯობიან, რომ ფრანციამ ამ ხიფათისაგან თავი ამ რიგათ გამოიძვრინოს.

ჩივიტა-ვეკიას რომ ფრანცუზის ჯარის დასტა აპირებდა გამგზავრებას, ის ტულონში დაებანაკა. ეს იმას ამტკიცებს, რომ ნაპოლეონი III ჯერ კიდევ გულ მშვიდათ ვერ შესცქერის იმ ამბავს, რაც ამ ჟამათ იტალიაში ჰხდება; ან კი როგორ შეუძლიან გულ-დამშვიდებით ჭვრეტა? ვთქვათ, რომ იტალიის ახალი სამინისტრო ეცდება ფრანციის მთავრობას არა აწყენინოს რა, მაგრამ საქმე იმაშია, შეუძლიან თუ არა იმას ხალხის მღელვარების შეკავება, რომელიც მთელს ნახევარკუნძულზე უფრო-დაუფრო ერცელდება. ფლორენციიდგან მოსული ამბები ამტკიცებენ, რომ საზოგადოთ ხალხი, მეტი ალარ შეიძლება, ისე გაცხარებულიაო. ჯერ რატაცის სამინისტროსთვის თავი არ დაენებებინა, რაც იმის სახლს ხალხის გუნდი შემოერტყა, ისე რომ რატაცის უნდა წარმოეთქვა სიტყვა ხალხის წინაშე, რომელშიაც უნდა გამოეცხადებინა, რომ მთავრობა თავის განზრახვებს მალე გამოაცხადებსო საყოველთავოთ. ესეც უნდა ვთქვათ, რომ ბარიბალდი მიუცილებლათ აქამდის პაპის სამფლობელოში შეეიდოდა: თვითონ რომში იმისთანა მოძრაობა შეინიშნა, რომელიც ძალიან საფრთხილოა. ადვილათ შეიძლება, რომ იქ ამ დღეებში მღელვარება მოხდეს და ხალხმაც მიიღოს ბუნტში მონაწილეობა. ბაზეთი „Indépendance Belge“ გვაცნობებს, რომ დიდი ვეზირი ალი-ფაშა ქანდიაში რომ გაემგზავრა, იმის ამბავი კიდეც წარუდგინა სულთანს. ოსმალოს მინისტრი ამბობს თავის მოხსენებაში, რომ განდგომილები ჯერ კიდევ ღონივრად იბრძვიანო და მე აქამომდე ვერა გავარიგერაო. რაც კი ურჩია, კანდიელებმა ყოველის ფერზე უარი უთხრეს: ისინი ყურში არ უშვებენ იმ რჩევას, რომელიც აგონებს სულთანს დამორჩილდითო. ისინი უწინდულათვე ითხოვენ, რომ საბერძნეთს შეუერთონ; პორტა იარაღით თუ დაიმორჩილებს იმათ, თორემ სხვითი ვერაფრით ვერ შეუძლიანო. ამის პასუხათ კოსტანტინეპოლის მთავრობამ გაჰგზავნა ქანდიის კუნძულზე ექვსი ათასი ახალი ჯარი, რადგან ოსმერ-ფაშის ჯარი ვერ არის კარგს მდგომარეობაში.

პოლშელები ვენაში ძალიან ახოვნებით მოქმედებენ თავის საქმის გასამარჯვებლათ. პოლშელს დეპუტატებსა და სხვა უმრავლესს დეპუტატებს შუა მოხდა ამ ნაირი შეთანახმება: დეპუტატების უმეტესს ნაწილს უნდა შეეცვალა სახელმწიფო დაწესებულების ზოგიერთი მუხლები იმ რიგათ, რომ ისინი პოლშელების სასარგებლო ყოფილ იყვნენ; პოლშელმა დეპუტატებმა თავის მხრით დაჰპირდნენ, რომ სხვა მუხლების შეცვლაში რასაც უმრავლესი ნაწილი დეპუტატებისა არჩევს, ჩვენც იმას დავეთანახმებითო; მართლაც მინამ პოლშელების სასარგებლო პარაგრაფებს დაამტკიცებდნენ, პოლშელს დეპუტატებს თავისი სიტყვა ძალიან მტკიცეთ ეჭირათ, და როცა სხვა პარაგრაფების დამტკიცებაზე მისდგა საქმე, მაშინ კი ისინი წინააღმდეგათ გაუხდნენ უმეტესს ნაწილსა.

ტელეგრამმები,

ტფილისში მიღებული.

პეტერბურგი, 25 ოკტომბერს. პაპის ჯარმა დაამარცხა გარიბალდიელები. ბარიბალდიმ უკან დაიწივა და გადავიდა იტალიის საკაროლო საზღვრებში, სადაც დაუტუსაღებიათ და, ზოგის სიტყვით, ქაპრერას გაუგზავნიათ, ზოგის სიტყვით კი სპეციას. ბაზეთში Presse-ში სწერენ, ფრანცია ითხოვსო რომ იტალიის ჯარი ოკტომბრის 26 რიცხვს სალამომდინ პაპის სამფლობელოდამ გავიდეს. ავსტრიის კანცლერმა ბარონმა ბეისტმა, რომელიც ლონდონში მივიდა, გამოუცხადა ანგლიის უცხოქვეყნების საქმის მინისტრს სტენლის, რომ ავსტრია რომის საქმეში არ გაერევა; და თუ კონფერენცია მოხდა, მაშინ კი კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებს. აღმოსავლეთის საქმეებში ავსტრიასა და ფრანციას შუა თანხმობაა.

პეტერბურგი, 27 ოკტომბერს. იტალიის ოფიციალური გაზეთი აცხადებს, რომ დამარცხებული ბარიბალდი ქაპრერას აპირებდა წასვლას, მაგრამ მმართებლობამ მარინიანოში დააყენაო. იტალიის მმართებლობამ უარი ჰყო ბევრის პაპის სამფლობელოს ადგილების პლებისციტსა, რომლითაც უნდოდათ იტალიის საკაროლოსთან შეერთება. ეოლონტერების დათხოვნის შემდეგ მიზეზიც ალარ არის პაპის სამფლობელოში გარეევისა. იტალიის

მმართებლობა თავის ჯარების გამოყვანის საქმეს სჯის და ფრანციის ჯარის გასვლას ელოდება, რომ რომის საქმის გადაწყვეტით გათავებას მორიგებით შეუდგეს, როგორც ამბობს გაზეთი „Pays“ ფრანცუზები რომში აღარ დარჩებიან; მხოლოთ ჩივიტა-ქეკკიაში დარჩება ერთი დივიზია.— „მონიტორი“ სწერს: ნაპოლეონმა უბძანა დააყენონ ტულონში მესამე დივიზია, რომელიც ჩივიტა-ქეკკიას უნდა წასულიყო. ევროპის გაზეთები ძალიან ბევრსა ლაპარაკობენ კონფერენციაზე, რომელმაც უნდა გადასწყვიტოსო რომის საქმე; ამაზე გადაწყვეტილი კი არა სჩანს რა. ადრინდელის სამხრეთ-შტატების პრეზიდენტის ჯეფერსონ-დევისის გასამართლება 20 ნოემბერს დაიწყება. მეხიკის პრეზიდენტათ რომ ხუარესი ამოურჩევიათო, ეს ამბავი გამართლდა.

პეტერბურგი, 28 ოკტომბერს. იმპერატორიცა და მისი უავგუსტესი შვილები. დიდი. მთავრები სერგეი და პავლე ალექსანდრეს ძენი და დიდი მთავრინა მარიამ-ალექსანდეს ასული 24-ს ოკტომბერს ზღვით გაემგზავრნენ იალტიდგან, 25-ს მშვიდობით მიბძანდნენ ადესას და 26-ს წაბძანდნენ ჩერნოვიცს. ოსმალები ძალიან უკმაყოფილონი არიან იმ დეკლარაციაზე, რომელიც რუსეთმა, ფრანციამ პრუსიამ და იტალიამ პორტას გაუგზავნეს; ქრისტიანებს იმედი მიეცათ. სერბიამ რომ მეორე ნოტა გაუგზავნა პორტას კაცის—კლაზედ, რომელიც ცეცხლის-გემზედ, „გერმანიაზედ“ მოხდა, იმ ნოტაზედ ოსმალეთის მმართებლობამ გადაჭრილი უარი შეუთვალა. ოსმალეთის მმართებლობამ აკრძალა პურის გადატანა სკუტარიდგან, პირუტყვისა—პირიდგან, თესალიიდგან და მაკედონიიდგან. წმ. თომას კუნძულთან ვესტ—ინდიაში (ამერიკაში) ურაგანმა (მეტად ძლიერმა ქარმა) 5 ცეცხლის—გემი და 50 იალქნიანი ხომალდი დალუპა.

აღწერა რომელთამე ოსთა-ამაოდ—მოარწმუნეოგბათა.

როდესაც მიიცვლება ვინმე ოსეთში, ქალი გინა კაცი, მაშინ შეიყრებიან ყოველნი მისნი ნათესავნი და მახლობელის სოფლის მცხოვრებელნი. აქამომდე უფრო სადამდინაც ხმა მისწვდებოდა ხოლმე მიცვალებულისა, ყველა სოფლიდამ მიდიოდნენ ქალნი და კაცნი; ხოლო თან-და-თან მოუკლეს ოსთა ამ ჩვეულებასა, და ახლა შემოვიდა თითქმის პატიჟობა, არა ნიშანდობრივ და კაცობრივ, არამედ სოფლობრივ. თუ გინდა თვით მიცვალებულის პატრონი ძალიან მდიდარიც იყოს, მაინც მონათესავე მათი დაადგება რასამე ნივთსა ნათხოვრად, რომ ცხენი შეკაზმონ. თუ მიცვალებული კაცია, მაშინ იარაღს. ხმალს, ხანჯალს, დამბაჩას, თოფს, დანას, წელსარტყამს ქამარს, სასწრაფოს, ყაწიმებს, უნაგირს და სხვა მის-და შესაფერისთა ცხენის სამკაულთა; აგრეთვე ქალთათვისცა, რაც კი ქალს სამკაული ეკადრება და აქვს ვისმე ყველა მონათესავე მისცემს თავის სამკაულსა და ამაებით ცხენს მორთავენ; კარგი ცხენი კი ძალიან ძნელი გასამეტი არის იმათში: ცუდს არ მიიღებენ. თუმცაღა საქაოს ხელ აღებით არ უნდა მისცენ არც ერთი, (არც ცხენი და არც სხვა ნივთები), მაგრამ, რადგანაც კურთხევის დროს უნდა ყველამ ცხენისა და ნივთების პატრონებთა სთქვან „ავდისან ნგონდდან“ „ხელ აღებული ვარ“; ამისგამო ის ცხენი დასამკაულნი იმათის აზრით, ეკუთნება მკვდარს საიქიოს, და პატრონს აღარ გამოადგება. ასე რომ, შემდეგ იმათი სიკვდილისა, გინა სხვისა ვისიმე, აღარ იკურთხება. მხოლოდ ცხენი კი სრულებით აღარ გამოდგება და უნდა იაფათ გაჰყიდონ; ოსებში თუ გაიგეს, რომ ეს ცხენი რომლისამე მკვდრისთვის არის ნაკურთხი, რა გინდ რომ კარგიც იყოს, იქნება აღარც კი იყიდონ და ქართველებში უნდა გაყიდონ.

ჯერ როდესაც შეატყობენ, რომ კაცი საიმედო აღარ არის—მიიცვლება, მაშინ წავლენ ერთს ხელს კარგს ტანის-საცმელს იყიდიან სულ ახლებსა, ერთის სიტყვით თუ გინდ სიცოცხლით არა სცმოდეს იმისთანა, მკვდარს მაინც უნდა ჩააცვან. აგრეთვე მოპარსვენ პირს და ყველგან ბანალს თვინიერ თმისა და ულვაშისა; გაბანენ კარგათ სუფთათა, ჩაატანენ თან სარკე სავარცხელს და ამ გვარად მორთული უნდა წარდგეს „ბარასტირთან“. (*) თუმცაღა მართალია მღვდელს ანდერძს ააგებინებენ, მაგრამ მაინც კიდევ მოიყვანენ კარგს აღმორჩეულს ცხენსა და რაც ზემოდ დამიწერია იმ სამკაულებით და იარაღებით შეკაზმენ; თუ დაჭედილი არ არის ფეხებში ლურსმებს დაურჭობენ. მაშინ წამოიყვანენ ერთს იმისთანა კაცს, რომელმაც კარგათ იცის ცხენის კურთხევა თავიანთს ოსურს წესზედ; თუ იქ თავიანთ სოფელში არ იპოვება სხვა ქვეყნიდამ მოიყვანებენ. ის კაცი დაიჭერს ხელში კათხით ღვინოსა, ან რაც სასმელი ექნებათ წყალს გარდა. მარილ არეულს ქერს ჩაჭყრის თუ მდიდარია, წითელ მაუდში, ან თეთრ სამოსელში, თუ არა და ცხვრის ტყავში. ცხენს აღვირით მკვდართან დაიჭერს ვინმე მკვდარს გარეშემო უტარებს, უკან ცხენს ქალები მისდევენ, თავში ხელის ცემით და ძახილით; „დოდი, დოდოის“, ვაი, ვაი! მაკურთხებელი ქერს მიუშვერს ცხენსა ცალ-ხელში კათხით სასმელი უჭირავს და მოჰყვება კურთხევასა:

„ბახ-ფალდისინ ვასკიცი რააეახტა, ზანტე, დ...ვითა, ე ლამან ულისტი; ე ლაპუ ასლან ხუნდი და სხვ.“ ცხენის კურთხევა წმინდა ბიორგიმ შემოიღო, ანგელოსნი და მთავარ ანგელოსნი, იმისი მეგობრები იყვნენ. იმის შვილს ასლანი ერქვა. მოპატიჟეთ გაგზავნა, ანგელოსებთან და მთავარ ანგელოსებთან, შუა გზაზედ რომ მივიდა, მუცელი ასტკივდა, გულის კოვზთან აუვიდა და ყმაწვილი იქ მოკვდა. ცხენმა სთქვა: „რავქნაო, როგორა ვქნაო; აქ რომ დავაგდო, მგლები შესჭამენო“. დაავლო ოქროს ქოჩორზედ კბილი და ზურგზედ შემოიგდო. ცხენი წმინდა ბიორგის კარებზედ მიადგა და ხვიხვინი შექმნა. წმინდა ბიორგიმ სთქვა: „ბაიხედეთ ასლანის მოსვლის დრო არისო“. ბამოიხედეს და მკვდარი ნახეს, ვერავინ გაუბედა ასლანის სიკვდილის თქმა. მაშინ წმინდა ბიორგიმ სთქვა: „იმისი კანჭის ნამტვრევები მაინც მიჩვენეთო“, ეგონა ცხენიდამ გადმოვარდნილაო. მაშინ მკვდარი შინ შეიტანეს, ნახა და იქ თავი დაანება; თვითონ კი ცხენის საძებნელათ წავიდა. ერანჯელნი და მურანჯელნი შემოეყარნენ და უთხრეს: „გამარჯვება კარგო კაცო, საით მიხვალო, წმინდა ბიორგიმ უთხრა: „კარგი შვილი მამიკვდა, კარგს ცხენს ვეძებო.“ იმათ უთხრეს: „წმინდა ბიორგის სამი რაში ჰყავსო, ადგილი დაანახვეს, დღისით დამალულნი არიან და ღამე სძოვენო, მზის გულზედ შეიარეო, უგზო-უკელოთ შემოიარეო, ძალიან სასინათლო აანთეო, ქერი და მარილი წაიღე და დაიჭირეო“. წმინდა ბიორგიმ მზი გულზე შეიარა, უგზო-უკელოდ გამოიარა, ძალიან სასინათლო აანთო, ქერი და მარილი წაიღო და იპოვნა. წმინდა ბიორგიმ სთქვა: „უფროსი დავიჭირო ბებერი იქნებაო, უმცროსი დავიჭირო ყმაწვილი იქმნებაო“ და შუათანა დაიჭირა. იქიდამ რომ წამოვიდა მზის შვილი ხამთყანა, და მთვარის შვილი მახმათა შემოეყარნენ, ბედის ვსებელისათვის ცოლი მიჰყავდათ იმათ უთხრეს: „ბამარჯვება კარგო კაცო, საით ყოფილხარო. წმინდა ბიორგიმ უთხრა: „კარგი შვილი მომიკვდა, კარგს ცხენს ვეძებდი და ახლა ვპოვეო.“ ზოგმა უნაგირი აჩუქა, ზოგმა აღვირი; იქიდამ შეკაზმული წამოიყვანა, ერთ მჭედელს ყარჭიყაშვილს ეძახდნენ, სახელად ჯიბილდარ ერქვა, იმასთან მიიყვანა, დაჭედინა. იმან ნალი ხორასნისა უყო და ლურსმები ალმასისა. ცხენი ყოვლით შეკაზმული მიცვალებულთან დააყენა და დაბარა: „ზევით გზაზედ ნუ წახვალ, ზენარის გზა არის; ქვეით გზაზედ ნუ წახვალ ქვესკნელის გზა არის; შუა გზაზედ წადი და მკვდრების გზა არის. ერთ ცალ ხიდზე გასვლა მოგინდება, ფთხილათ გადი. იმას რომ გახვალ ჰაერის მცველები დაგხვდებიან და ცხენი გააჭენე. იმათ რომ გასცდები ძაღლები გამოგიცვივდებიან; კალოს ტელა პური გექნება, ის იმათ გადაუგდე და ისინი იმას მოუნდებიან და შენ გადარჩები. როდესაც მიახლოვდები ბავშვები მოგეგებებიან, ზოგს მამა ეგონები, ზოგს დედა. უთხარი: „ისინიც მოდიან.“ როცა მიხვალ ბარასტირი მოგიკითხავს, სარბიელში გამოგიწვევს; სხვა მიცვალებულებთანა უარი უთხარი: გულ გვამის ტკივილი ვიცი თქო. არ მოგეშვება ბარასტირი. ქანჭს და კათხით სასმელს გამოიტანს. თქვენი სარბიელი მწვანე ველზედ იქნება, ნალები ცხენს ცურავს დაუწყებენ; მაგრამ ლურსმები სობასა, ამით წინ მიასწრებ სხვამკვდრებსა. ბარასტირი კანჭს და კათხას შენ მოგცემს, ცხენს ეტყვის: „მწვანეზედ შენი საძოვარი იყოს; (პატრონს) ნათელში შენი საჯდომი.“

შემდეგ ამ ლოცვის დასრულებისა, მლოცველი აიღებს იმ კათხით სასმელს, რომელიც ხელში უჭირავს და ცხენს დაასხამს თავზედა. მიცვალებულს რომ საფლავისაკენ წაიღებენ, ცხენზედ ერთს ვისმე შესმენ, იმ პურს მისცემენ ხელში, რომელიც მკვდრისთვის გამოცხობილია და მკვდარს გვერდით უდგება ხოლმე. ცხენს რომ გააჭენებს ზედ მჯდომი, იმ პურსა გასტყორცნის, ვითომც საიქიოს მყოფთ ძაღლებთ უგდებს. მიცვალებულს რომ დასაფლავებენ, საფლავში ჭურჭლით რითიმე სასმელს ჩაატანებენ თავით და ფეხთით დაუდგამენ, დასაფლავების შემდეგ ხალხთ უბან და უბან დასხამენ, ქალნი და კაცნი ყველა თავ თავის უბნებისა ერთათ იქნებიან დასხდომილნი და თვის თვისად მისცემენ სასმელს პურს და მარილს. ვინც მოკეთე არის, იმ ოჯახისა, ან თავ-მდგომი იქნება, ანუ იმ უბნის უფროსი კაცები, იმ ღამეს იქ დარჩებიან. უეჭველად მაშინ საკლავები უნდა დახოცოს (გარდა საუფლო მარხვებისა). ვინც იმ მიცვალებულის მახლობელი მოკეთეა, ისინი სასხნილოს არა სჭამენ რამდენსამე ხანს. დედა, ან თუ და ჰყავს, ისინი შავს ჩაიცმევენ, წლამდინ ხორცს არა სჭამენ, გარდა ამისა თუნდ გარყვნილის ხასიათისაც იყვნენ, თავს წმინდათ შეინახვენ და საზოგადოებაც პატივსა სცემს და ცუდს ვერას აკადრებს თუ კაცი არის ვინმე მარხული და წვერი აქვს დაყენებული, იმას თავისი მოკეთე, წვეულებაში სადმე დაჰპირდება რასმე; ხორცს აჭმევს მერმე ის რომ შინ მივა, უნდა მიცვალებულისათვინ წირვა გადაიხადოს, სოფელი დაჰპატიჟოს და შემდეგ წვერი ისე უნდა მოიპარსოს, (ამ წირვის გადახდასა „ხილ დასენასელ ეძახიან). აგრეთვე ქალიც ვინც შავს ჩაიცვამს, თუ ღარიბი არის და წირვის გადახდა არ შეუძლიან, მოითხოვს ხალხშია. წელიწადი როცა მოვა, მიცვალებულის პატრონი წირვას გადაიხდის, თუმცა წინარესაც წლისა, რაც ბედნიერი დღეები მოდის, ყველა დღესასწაულებშიაც, იხდიან წირვასა; მაგრამ წლის წირვა უფრო გამოჩენილი არის. ასე რომ: სადაც მოკეთეები ჰყავთ ყველას დაიპატიჟებენ, წინათვე რომ შეემზადნენ; ისინიც შესაწეერს მოიტანენ. ამ წლის წირვის წინ ვისაც კარგი ცხენი ჰყავს იმის მოკეთეებში, ისინი ზელას დაუწყებენ და ქერის ჭმევასა, რომ დიდ ხანს შესძლოს სირბილი. თუ მოკეთეებში არავის ეყოლება ძლიერ მარბენელი ცხენი, მაშინ სხვას, ვისაც ეყოლება, იმას შეუკვეთავენ, და ფასს დაჰპირდებიან შეძლების და გვარათა.

თუ მკვდრის პატრონი მდიდარი არის, ორმოც ვერსს დაუნიშნავს; ამ დანიშნულის ადგილიდამ, რომელი ცხენიც წინ მოვა დანიშნულს ალაგს, იმას თუთხმეტ ძროხას მისცემენ, რომელიც მეორეთ—ათს. თუ მკვდრის პატრონი ნაკლებათ არის და, დანიშნავს ოცს ანუ ნაკლებს. მაშინ პირველ მიმსვლელს ცხენსა აქვს რვა ძროხა და მეორეს ხუთი. როდესაც დანიშნულის ადგილიდამ წამოვლენ, წინიდამ კიდევ ცხენებით იმ-ცხენების პატრონების მოკეთეები მიეგებებიან, ამათ „ყუზანს“ ეძახიან, ისე შუაში ჩაიყენებენ, თან მოსდევენ და ყველა თავ-თავის მოკეთის ცხენს უმარჯვებეს, რომ დაწინაუროს, ასე რომ თუ ან მხედარმა ვერ შესძლო ზედ ჯდომა, ან ცხენი ძლიერ დალალულია; მაშინ მხედარს გადმოსვამენ, ცხენს შუაში ჩაიყენებენ და ეაი ეაგლახით მიარბევინებენ, რომ წინ მიიყვანონ იმ ალაგასა, სადაც მიცვალებულის პატრონისაგან ხალხის დასასხდომი ადგილი არის გამზადებული და დიდრონის კასრებით ლუდები სდგას; აგრეთვე კაციც, რომელსაც უჭირავს კანჭი და კათხით ლუდი. იმ ლუდს პირველ მიმსვლელს ცხენს დაასხამს თავზედა და ეტყვის: „ნათელში იყოს“ იმ კანჭს ერთს წინათ მიმსვლელს ყუზონებთაგანს მისცემს, (ვითომც ის არის „ბარისტირი“). იმ კანჭს „ყუზონი“ გაიტაცებს. სხვა ყუზონები უკან დაედევნებიან და ეცდილობენ, რომ წაართვან. ესენი ორ მხარეთ გაიყოფებიან და თავთავისად მეცადინეობს ყველა, რომ წაართვას. ეს ამბავი ბავშვების ყურთა-გლეჯას ემსგავსება და მინამ გაგრძელდება, მინამ ერთი რომელიმე „ყუზონთაგანი“ „სუტ ბარასტირთან“ მიიტანდეს ის ვ იმ კანჭსა. და იმ მიმტანს ძალიან აქებენ, როგორათაც კარგს მხედარს. აგრეთვე ჰმართვენ ერთს მაღალს ლატანს, გასუფთავებულს და გაქონილსა. ზედ წვერზედ თავშალს დაჰკიდებენ. ვინც იმაზედ აცოცდება და ჩამოიღებს, ისიც იმას დარჩება და სახელიც გაუვარდება. (ამას „ბირენ ყადს“ ეძახიან). აქამდის ვერცხლის ავეჯისა ნიშნად დადგმა იცოდნენ, იმას შორიდამ თოფებს ესროდნენ და ვინც მოარტყამდა, ის ავეჯი იმას დარჩებოდა და კარგი მეთოფურობის ხმაც დაუვარდებოდა. (ამ ნიშნის სროლას „ყაბახს“ ეძახდნენ).

ჭამაზედ როდესაც დასხდებიან ჯერ სუფრას მღვდელს აკურთხებინებენ, მერმე ორს მოხუცებულს კაცებს მიიყვანებენ, ერთს ხელში კათხით ლუდს და კანჭს მისცემენ; მეორეს პურს და ყანწით არაყსა. პირველი მოჰყვება ლოცვასა: ჯერ ღმერთს ახსენებს, მერმე ეტყვის „ეს ხორაგი და სასმელი მომზადებული და, დღეს ჩვენ წინ როგორც არის, ისე შენ წინ იყოს (მიცვალებულს): ზამთარმა არ დაგიძრას, (ხორაგი), ზაფხულმა არ დაგილპოს, შენ წინ უფრო და უფრო ივსებოდეს. აბრაამის და ისაკის კურთხევით კურთხეულ იყოს; ქრისტეს მუხლზედ იჯექი. სული წმინდა მოგივიდეს.“ და თავს წაუქცევს ლუდსა; მეორეც ჩამოიღოცება და ხელში რაც უჭირავთ, უმცროსებს მისცემენ. შემდეგ ამისა რომელიც მარხული ქალია და შავი ჩაუცვამს, იმის მოკეთეებთაგანნი ვინმე წარმოსდგება, პატიოსანს კაცს მიიყვანს ქალთანა, და შავის გამოსაცვლელს ძროხას ანუ ხარს დაჰპირდება და დიდის ხვეწნით ხორცზედ კბილს დაადგმევინებენ. ის შავის ჩამცმელი, შინ რომ მივა, წირვას გადაიხდის სოფელს დაჰპატიჟებს და შემდეგ გამოიცვლის შავსა. რაც ზემოთ დავწერე მოკეთებისაგან ერთმანეთის შესაწეერი და დადგომა რისამე, ყველა იმათში სესხი და ვალი არის. თუ რომელსამე მათგანსა ეს უბედურება მიადგა და იმანაც ისე არ მოუტანა შესაწეერი, ანუ ვთქვათ, სხვა რაც რამ დასდგომია, მაშინ უჩივლებს და თავიანთის ოსურის ჩვეულებრივ დაწესებულებით გარდაახდევინებს.

Иосэб Эфемиашвили.

1867 წელსა
ღვინობის თვის 26

(*) ბარასტირი არის ძმა ღუთისა მკვდრების ღმერთი.

ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲝᲚᲕᲜᲔᲑᲐ.

ᲡᲛᲐᲘᲚᲡᲘᲓᲒᲐᲜ.

ᲛᲝᲕᲘᲧᲕᲐᲜ ᲔᲠᲗᲘᲡ ᲑᲠᲫᲜᲣᲚᲘᲡ ᲐᲖᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲡᲔ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲐᲓ ᲮᲐᲢᲐᲕᲡ ᲢᲔᲔᲢᲝᲜᲘᲡ ᲢᲝᲛᲘᲡ ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲐᲡᲐ. „ᲐᲠᲐ ᲛᲬᲐᲛᲡ ᲐᲠᲪ ᲙᲔᲠᲞᲔᲑᲘ ᲐᲠᲪ ᲔᲛᲐᲙᲔᲑᲘ“—ᲐᲛᲑᲝᲑᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲫᲕᲘᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘ ᲖᲔᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲢᲝᲛᲘᲡᲐ—ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲠᲬᲐᲛᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲥᲕᲡ ᲘᲛᲔᲓᲘ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲩᲔᲛᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲔᲣᲚᲘᲡ ᲦᲝᲜᲘᲡᲐ“. ᲐᲛ ᲢᲝᲛᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲡᲐ ᲫᲕᲔᲚᲐᲓ ᲩᲐᲤᲮᲣᲢᲖᲔ �გᲐᲛᲝᲥᲐᲜᲓᲐᲙᲔᲑᲣᲚᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲑᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲥᲕᲔᲛᲝᲗ ᲔᲬᲠᲐ: „ᲐᲜ ᲒᲐᲙᲕᲔᲠᲘᲚᲡ ᲒᲖᲐᲡ ᲛᲝᲕᲜᲐᲮᲐᲕ, ᲐᲜ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲒᲐᲕᲙᲕᲔᲠᲐᲕ“. ᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲩᲐᲤᲮᲣᲢᲖᲔ �გᲐᲛᲝᲮᲐᲢᲣᲚᲔᲑᲐ ᲫᲕᲔᲚᲐᲗᲔᲕ ᲒᲕᲘᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲡ ᲘᲛ ᲗᲐᲛᲐᲛᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲔᲝᲑᲐᲡᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲢᲔᲔᲢᲝᲜᲘᲡ ᲢᲝᲛᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲨᲘ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲜᲐᲗᲚᲐᲓ ᲔᲮᲔᲓᲐᲕᲗ. ᲡᲙᲐᲜᲓᲘᲜᲐᲕᲘᲘᲡ ᲛᲘᲗᲝᲚᲝᲒᲘᲐᲨᲘ ᲦᲛᲔᲠᲗᲡ ᲮᲐᲢᲐᲕᲓᲜᲔᲜ ᲘᲡᲔ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲙᲕᲔᲠᲘ ᲔᲭᲘᲠᲐ. ᲐᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐ ᲒᲐᲛᲝᲮᲐᲢᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲐ ᲘᲡᲐᲮᲔᲑᲐ. ᲙᲐᲪᲘᲡ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘ, ᲠᲐᲒᲘᲜᲓ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲐᲘᲦᲝ, ᲘᲛᲐᲨᲘᲐᲪ ᲙᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲗᲜᲔᲑᲐ. ᲙᲕᲔᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲗ ᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲮᲝᲛ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛᲘᲗᲐᲪ ᲙᲘ ᲨᲔᲐᲛᲩᲜᲔᲕ ᲙᲐᲪᲡ, ᲗᲣ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐ ᲐᲥᲕᲡ. ᲐᲛ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲔᲠᲗᲛᲐ ᲤᲠᲐᲜᲪᲣᲖᲛᲐ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲙᲐᲤᲘᲝᲓ �გᲐᲛᲝᲮᲐᲢᲐ ᲘᲛ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲓᲐ ᲔᲠᲗᲡ ᲒᲐᲨᲝᲠᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲘᲛᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲡ ᲣᲜᲓᲝᲓᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲧᲘᲓᲕᲐ: „ᲔᲠᲘᲓᲔᲗ“—ᲣᲗᲮᲠᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲛᲐ—ᲘᲥ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲧᲘᲓᲕᲐᲡᲐ; ᲘᲛ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲚᲔᲑᲡ ᲛᲔ ᲙᲐᲠᲒᲐᲗ ᲕᲘᲪᲜᲝᲑ; ᲐᲥ ᲠᲝᲛ ᲘᲥᲐᲣᲠᲘ ᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲐᲗ-ᲛᲝᲓᲘᲐᲜ, ᲙᲕᲔᲠᲡ ᲛᲐᲒᲠᲐᲗ ᲕᲔᲠ ᲡᲪᲔᲛᲔᲜ ᲖᲘᲜᲓᲐᲜᲡᲐ. ᲘᲛᲗᲐᲗ ᲐᲙᲚᲘᲐᲗ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐ ᲓᲐ ᲙᲘᲓᲔᲪ ᲛᲔᲤᲘᲥᲠᲔᲑᲐ, ᲕᲐᲘ ᲗᲣ ᲘᲛᲓᲔᲜᲘ ᲕᲔᲠᲐ ᲒᲐᲫᲛᲝᲘᲢᲐᲜᲝᲗ ᲠᲐ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲡᲐᲪ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲛᲘᲬᲐᲖᲔ ᲓᲐᲮᲐᲠᲯᲐᲕᲗ“. ᲔᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲐᲗ ᲐᲤᲐᲡᲔᲑᲡ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲘᲛ ᲙᲐᲪᲡᲐᲪ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲓᲐᲙᲔᲘᲠᲕᲔᲑᲐ ᲡᲪᲝᲓᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲔᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲡᲗᲥᲕᲐ; ᲐᲛᲐᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲕᲠᲐᲗ ᲰᲮᲡᲜᲘᲐᲜ ᲘᲛ ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲙᲔᲠᲫᲝᲛᲝᲑᲘᲗᲘᲡ ᲞᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐ ᲐᲫᲚᲔᲕᲡ ᲫᲐᲚᲐᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲗᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲚᲔᲑᲡ ᲤᲐᲡᲡ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲘᲛ ᲛᲘᲬᲐᲡᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲔᲜ.

ᲐᲛ ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲘᲡ �გᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲙᲐᲪᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲛᲔᲢᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, ᲘᲡᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲡ ᲭᲔᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲐᲓ ᲓᲘᲓᲘᲡ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲐᲗ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ, ᲠᲝᲛ ᲙᲐᲪᲛᲐ ᲛᲐ�გᲠᲐᲓ �გᲐᲓᲐᲡᲬᲧᲕᲘᲢᲝᲡ ᲒᲣᲚᲨᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲖᲠᲐᲮᲕᲘᲡ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ. ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲠᲗᲡ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘᲡ ᲦᲝᲜᲔᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲧᲘᲓᲕᲐᲡᲐᲪ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲮᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲘᲛᲐᲪᲔᲖᲔ.

ᲛᲘᲜᲐᲛ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲐᲗ ᲠᲩᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲘᲗ ᲐᲠ ᲪᲮᲐᲓᲓᲔᲑᲐ, ᲛᲘᲜᲐᲛ ᲔᲡ ᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲡ �გᲝᲜᲔᲑᲐᲨᲘᲐᲪ ᲬᲐᲠᲛᲝᲨᲝᲛᲑᲡ ᲐᲕᲐᲗ-ᲛᲧᲝᲤᲣᲠᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲡᲐ. ᲗᲣ ᲔᲠᲗᲮᲔᲚᲕᲔ ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲒᲐᲜᲖᲠᲐᲮᲐᲕᲐ ᲗᲐᲕᲨᲘ ᲩᲐᲒᲘᲕᲐᲠᲓᲐ, ᲣᲜᲓᲐ ᲔᲪᲐᲓᲝ, ᲠᲐᲪ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲩᲥᲐᲠᲐ ᲐᲐᲡᲠᲣᲚᲝ, ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲘᲥᲘᲗ ᲛᲘᲣᲮᲕᲘᲝ, ᲐᲠᲪ ᲐᲥᲔᲗᲐ. ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲡ ᲒᲕᲐᲠᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲖᲔ ᲠᲐ ᲛᲐᲒᲘᲡᲗᲐᲜᲐ ᲣᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲝ ᲨᲠᲝᲛᲐ ᲘᲧᲝᲡ, ᲛᲐᲘᲜᲪ ᲛᲮᲘᲐᲠᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲐᲡᲠᲣᲚᲝ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲘᲡ ᲙᲐᲪᲡ ᲐᲫᲔᲕᲡ ᲕᲐᲚᲐᲗ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲖᲣᲒᲝ ᲛᲘᲚᲚᲔᲠᲘ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ: „ᲔᲠᲗᲐᲗ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ, ᲡᲐᲪᲐ ᲛᲔ ᲛᲖᲠᲓᲘᲓᲜᲔᲜᲝ ᲘᲧᲝ ᲘᲡ, ᲡᲐᲪᲐ ᲯᲐᲤᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲚᲐᲠᲘᲑᲔ ᲘᲧᲕᲜᲔᲜᲝ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲤᲘᲪᲮᲜᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘ. ᲕᲘᲜᲪ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲔᲪᲐᲓᲘᲜᲔᲝᲑᲐᲡ ᲐᲡᲣᲡᲢᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲨᲠᲝᲛᲐᲡ ᲗᲐᲕᲡ ᲐᲠᲘᲓᲔᲑᲡ ᲐᲛᲐᲝ ᲛᲘᲖᲔᲖᲑᲘᲗᲐ, ᲘᲡ ᲛᲘᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲘᲒᲔᲑᲡ. ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲠᲝᲛ ᲘᲡᲔ ᲙᲔᲗᲓᲔᲑᲝᲓᲔᲡ, ᲗᲘᲗᲥᲝ ᲘᲛᲘᲡᲘ ᲗᲐᲕᲘᲓᲒᲐᲜ ᲛᲝᲨᲝᲠᲔᲑᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲘᲧᲝᲡ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲔᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲛᲡᲬᲠᲐᲤᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲛᲮᲘᲐᲠᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲙᲔᲗᲓᲔᲑᲐ ᲮᲝᲚᲛᲔ. ᲙᲐᲠᲚᲝᲡᲡ IX ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲡᲬᲐᲛᲓᲐ ᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲫᲚᲘᲔᲠᲔ, ᲗᲣᲜᲓ ᲠᲝᲛ ᲘᲡ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲡᲐᲪ ᲒᲐᲛᲝᲩᲘᲜᲐ. ᲐᲛ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲠᲝᲪᲐ ᲘᲛᲘᲡᲘ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲨᲕᲘᲚᲘ ᲠᲐᲘᲛᲔ ᲒᲐᲡᲐᲭᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲨᲔᲣᲓᲒᲘᲒᲝᲓᲐ, ᲙᲐᲠᲝᲚᲘ ᲗᲐᲕᲖᲔ ᲮᲔᲚᲡ ᲓᲐᲐᲓᲔᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲔᲢᲧᲝᲓᲐ: „ᲨᲔᲜ ᲐᲛᲐᲡ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲔᲑ, ᲣᲡᲐᲪᲘᲚᲝᲓ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲔᲑᲝ“. ᲗᲣ ᲙᲐᲪᲡ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲐᲗ ᲒᲐᲓᲐᲔᲥᲪᲐ ᲮᲐᲜ�გᲠᲫᲚᲘᲕᲘ ᲓᲐ ᲒᲣᲚ-ᲓᲐᲡᲛᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲨᲠᲝᲛᲐᲪ ᲐᲓᲕᲘᲚᲘ ᲔᲩᲘᲕᲔᲜᲔᲑᲐ. ᲐᲛ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲘᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐ ᲒᲕᲐᲛᲔᲑᲡᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲭᲙᲣᲘᲗ ᲓᲐ ᲜᲘᲭᲗᲘᲗ ᲐᲠ ᲒᲐᲜᲘᲠᲩᲔᲕᲘᲐᲜ, ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲑᲔᲕᲠᲘᲡ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲜᲗ, ᲗᲣ ᲧᲝᲕᲔᲚᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲫᲐᲚᲐᲡ ᲒᲐᲣᲬᲧᲕᲔᲢᲚᲐᲗ ᲔᲠᲗᲡ ᲐᲠᲩᲔᲣᲚᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲛᲝᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲔᲜ. ᲨᲝᲣᲔᲚᲘ ᲑᲔᲙᲡᲢᲝᲜᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲑᲠᲐᲚᲔᲑᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲐᲡᲐ: ᲠᲝᲪᲐ ᲔᲠᲗᲡ ᲠᲐᲡᲛᲔ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲘᲠᲩᲔᲕᲓᲐ ᲒᲐᲡᲐᲙᲔᲗᲔᲑᲚᲐᲗ, ᲛᲘᲜᲐᲛ ᲐᲠ ᲐᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲓᲐ, ᲡᲣᲚᲘᲗ ᲓᲐ ᲒᲣᲚᲘᲗᲘᲧᲝᲗ ᲖᲔᲓ ᲛᲝᲜᲓᲝᲛᲔᲑᲣᲚᲘ.

ᲠᲐᲡᲐᲪ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲤᲐᲡᲘ ᲡᲫᲔᲕᲡ, ᲘᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲐᲛᲐᲪᲣᲠᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲗ ᲒᲐᲙᲔᲗᲓᲔᲑᲐ ᲮᲝᲚᲛᲔ. ᲙᲐᲪᲔᲑᲘ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ ᲰᲮᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲭᲙᲣᲐ-�გᲝᲜᲔᲑᲐ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲚᲜᲘ, ᲠᲝᲛ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲐᲚᲘᲭᲣᲠᲕᲔᲑᲘᲐᲜ ᲛᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲜᲔᲑᲘᲗᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲔᲑᲫᲕᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲡ ᲓᲐᲑᲠᲙᲝᲚᲔᲑᲐᲡ: ᲒᲐᲡᲐᲙᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲗᲐᲗ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲗ ᲰᲮᲓᲔᲑᲐ ᲐᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲘᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐ ᲒᲐᲜᲖᲠᲐᲮᲕᲘᲡ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲪ ᲣᲬᲘᲜ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲒᲝᲜᲐ. ᲔᲡᲔᲪ ᲛᲝᲮᲓᲔᲑᲐ ᲮᲝᲚᲛᲔ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲣᲫᲘᲜᲐᲠᲘ ᲓᲔᲔᲜᲐᲠᲐᲘᲛᲔ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ ᲘᲛᲐᲡ, ᲠᲐᲪ ᲣᲬᲘᲜ ᲛᲮᲘᲐᲠᲣᲚᲘ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲐ ᲘᲧᲝᲡ. ᲐᲛ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲠᲝᲪᲐ ᲘᲛᲘᲡᲘ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲨᲕᲘᲚᲘ ᲒᲐᲡᲐᲭᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲨᲔᲣᲓᲒᲘᲒᲝᲓᲐ, ᲙᲐᲠᲝᲚᲘ ᲗᲐᲕᲖᲔ ᲮᲔᲚᲡ ᲓᲐᲐᲓᲔᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲢᲧᲝᲓᲐ: „ᲛᲔ ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲘᲡ ᲛᲐᲠᲨᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲮᲔᲓᲐᲠᲗ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲕᲘᲥᲛᲜᲔᲗ“. ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲝᲓᲐ ᲙᲐᲪᲡ ᲔᲗᲥᲕᲐ ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲛᲝᲛᲔᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ ᲘᲛᲘᲡᲘ ᲬᲘᲜᲐᲗ-ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐ ᲘᲧᲝᲡ, ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲠᲝᲛ ᲘᲛᲘᲡ ᲛᲮᲓᲐᲚᲡ ᲒᲝᲜᲔᲑᲐᲡ ᲐᲡᲔ ᲰᲒᲝᲜᲘᲐ. ᲔᲠᲗᲡᲤᲠᲐᲜᲪᲣᲖᲘᲡ ᲐᲤᲘᲪᲔᲠᲖᲔ ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲝᲗᲐᲮᲨᲘ ᲓᲐᲓᲘᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲫᲐᲮᲝᲓᲐ: „ᲛᲔ ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲘᲡ ᲛᲐᲠᲨᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲮᲔᲓᲐᲠᲗ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲕᲘᲥᲛᲜᲔᲗ“. ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲝᲓᲐ ᲙᲐᲪᲡ ᲔᲗᲥᲕᲐ ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲛᲝᲛᲔᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ ᲘᲛᲘᲡᲘ ᲬᲘᲜᲐᲗ-ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐ ᲘᲧᲝᲡ, ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲠᲝᲛ ᲘᲛᲘᲡᲘ ᲛᲮᲓᲐᲚᲡ ᲒᲝᲜᲔᲑᲐᲡ ᲐᲡᲔ ᲰᲒᲝᲜᲘᲐ. ᲓᲘᲓᲘ ᲮᲐᲜᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲡ ᲐᲥᲔᲗ, ᲠᲐᲪ ᲔᲡ ᲙᲐᲪᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲰᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲐᲗ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲘᲛᲘᲡᲘ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ ᲓᲐ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲝᲗ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲐᲑᲐᲫᲐᲒᲘᲐ ᲐᲮᲐᲚ-ᲨᲗᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲐᲑᲠᲐᲐᲛ ᲚᲘᲜᲙᲝᲚᲜᲘ, ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ, ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲐᲦᲛᲓᲒᲔᲜᲘ ᲓᲐ ᲜᲔᲒᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲐ 1809 ᲬᲔᲚᲡ ᲦᲐᲠᲘᲑᲘᲡ ᲓᲔᲓᲛᲐᲛᲘᲡᲐᲒᲐᲜ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲘᲠᲩᲔᲜᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲗᲘᲗ. ᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲛᲐ ᲙᲔᲜᲢᲣᲙᲘᲡ ᲨᲢᲐᲢᲨᲘ ᲨᲕᲘᲓᲘ ᲬᲔᲚᲘ �გᲐᲐᲢᲐᲠᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲛᲐᲛᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲘᲧᲝ ᲣᲑᲠᲐᲚᲝ ᲛᲣᲨᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲣᲦᲚᲔᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲗ ᲐᲠᲩᲔᲜᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲪᲝᲚᲨᲕᲘᲚᲡᲐ, ᲘᲛᲓᲠᲝᲡ ᲐᲛ ᲨᲢᲐᲢᲨᲘ ᲨᲙᲝᲚᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲧᲝᲡ ᲡᲐᲬᲧᲐᲚᲘ ᲙᲐᲪᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲐᲑᲠᲐᲐᲛᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑᲓᲐ ᲬᲘ�გᲜᲡ ᲛᲔᲖᲝᲑᲚᲘᲡᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲡᲮᲕᲐ ᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲔᲑᲘᲪ ᲔᲑᲐᲠᲐ. ᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲛᲐ ᲬᲘ�გᲜᲘ ᲛᲐᲚᲐᲗ ᲘᲡ�წᲐᲕᲚᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲝᲛᲔᲢᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲙᲘ ᲗᲐᲕᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲔᲜᲔᲑᲔᲑᲘᲜᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲘᲛᲘᲡᲘ ᲛᲐᲛᲐ ᲒᲣᲚᲡ-ᲛᲝᲓᲒᲘᲜᲔ ᲙᲐᲙᲔᲠᲘ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲗᲐᲕᲡᲓᲐ ᲛᲔᲖᲝᲑᲚᲔᲑᲗᲐᲜ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲛᲝᲜᲔᲑᲘ ᲰᲧᲐᲕᲓᲐᲗ. ᲐᲥ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲐ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲛᲘᲡᲪᲔᲛᲓᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲛᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲨᲠᲝᲛᲐᲡ ᲤᲐᲡᲘ ᲐᲠ ᲔᲓᲝ. ᲐᲛᲘᲡ�გᲐᲛᲝ ᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲔᲡᲐᲮᲚᲐ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗᲘᲡ-ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲡᲐᲙᲔᲜ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲜᲘ ᲪᲝᲢᲐᲜᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ. 1818 ᲬᲔᲚᲡ ᲚᲘᲜᲙᲝᲚᲜᲘ ᲪᲝᲚᲨᲕᲘᲚᲘᲗ ᲐᲑᲐᲠᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲥᲔᲚᲡ ᲢᲧᲔᲨᲘ ᲛᲘᲓᲘᲝᲓᲐ ᲨᲢᲐᲢᲘᲡ ᲘᲚᲚᲘᲜᲝᲘᲡᲘᲡᲐᲙᲔᲜ. ᲑᲘᲜᲐᲖᲔ ᲠᲝᲛ ᲛᲘᲕᲘᲓᲐ, ᲘᲛᲐᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲔᲙᲐᲤᲐ ᲡᲐᲛᲝᲡᲐᲮᲚᲝ, ᲛᲔᲠᲛᲔᲗ ᲤᲘᲪᲠᲔᲑᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲔᲗᲐᲚᲐ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲐᲡᲐᲨᲔᲜᲔᲑᲚᲐᲗ. ᲐᲛ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲑᲠᲐᲐᲛᲘ ᲪᲣᲚᲘᲗ ᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲝᲓᲐ ᲛᲐᲛᲐᲡᲐ. ᲐᲥ ᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲐᲦᲐᲠ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ. ᲐᲛᲘᲡ ᲛᲐ�გᲘᲕᲠᲐᲓ ᲪᲣᲚᲘᲗ ᲐᲑᲐᲠᲒᲔᲑᲣᲚᲘᲐᲧᲝᲗ ᲪᲝᲚᲨᲕᲘᲚᲘᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲔᲬᲘᲐ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡᲙᲔᲜ ᲘᲚᲚᲘᲜᲝᲘᲡᲘᲡ ᲨᲢᲐᲢᲨᲘ; ᲛᲐᲨᲘᲜ Ა

ძალიან ეხმარებოდა თავის დედმამას ახალ-ადგილას დასახლებაში; ფერმის გასაშენებლათ აბრაამმა გათალა რამდენიმე ათასი სარი, რომლებსაც შემდეგ დიდი მნიშვნელობა მიეცათ ომის ცხოვრებაში, როცა რესპუბლიკურმა პარტიამ ლინკოლნი ამოირჩია კანდიდატათ პრეზიდენტობაზე; პირველსავე წელში ილლინოისში დადგა დიდი ზამთარი, თოვლი არშინ ნახევარზე მოვიდა. სოფლებს შუა მისელა-მოსელა შესწყდა. იმ დროს ღონიერი ახალგაზდა აბრაამი თხილამურებით დადიოდა ფერმიდგან ფერმაზე, ნადირობდა, და არჩენდა თავის დედ-მამასაც და მეზობლებსაც. ამისგამო იმ არემარეში ლინკოლმა სახელი გაითქვა. მეორე წელიწადს ის წავიდა მახლობლად მდებარე ქალაქში და, რაც ხელში მოხვდებოდა, იმას მუშაობდა. იმდროს კიდევ ხელმეორეთ გაურიგდნენ ლინკოლნსა, რომ საქონლით დატვირთული ბარქასი წაეღო ახალს-ორლეანში. გზაზე ლინკოლნი შეიქმა მოწამე, თუ როგორ ბარბაროსულად ეპყრობოდნენ ნეგრებსა და ამ საქმემ ღრმად ჩააფიქრა; ის მონობას სამშობლოს ჭირად რაცხავდა. ბაჭრის მინდობილ ბა იმან კარგათ აასრულა და მიიღო იმდენი ნდობა, რომ ნუ-სალემში პრიკაშჩიკობა შეაძლიეს. ამ ახალს თანამდებობაში ლინკოლნს ყველა პატივის ცემით უყურებდა. იმან თავის პატიოსნებით ბევრი მყიდველები მიიჩვია და ბოლოს იმდენათ პატივცემული შეიქნა, რომ სახელად დაარქვეს „პატიოსანი აბრაამი“. ამისთანა მოქმედება ლინკოლნს მაინც არ აკმაყოფილებდა. ის ეძებდა უფრო ვრცელს წრეს მოქმედებისას. იმას შემთხვევა მალე მიეცა ამ საგნისათვის, თუმცა თვითონ შემთხვევა მაგისთანა დიდი არა ყოფილარა; ილლინოისს დაეცა მახლობლად მცხოვრები ინდოეთლების ტომი. საზოგადო გულდანდობა ლინკოლნზე იმით გამოცხადდა ნუ-სალემში, რომ ის ვოლონტერების დასტაში კაპიტნათ აირჩიეს. თუმცა ბრძოლა არსად შემთხვევია, მაგრამ ამ დანიშვნით მაინც თავის ამხანაგებში აბრაამი ძალიან საყვარელი შეიქნა, ამიტომ რომ მამაცურად და გაუკიცხავად ასრულებდა თავის თანამდებობასა; ის ბევრს ნაკლებულებას და დაბრკოლებას ითმენდა.

ლაშქრობა რომ გათავდა, ლინკოლნი დაუბრუნდა თავის ვაჭრობას, უნდოდა დამოუკიდებლათ შრომა, მაგრამ ვერა გაარიგა რა და ფულიც შემოეხარჯა. მაშინ იმან გადასწყვიტა სჯული ესწავლა, რადგან უნდოდა ადვოკატათ გამხდარ იყო. მაგრამ იურიდიკულს (*) სწავლას დრო უნდოდა და ამ დროის განმავლობაში იმას თავის რჩენაც უნდოდა. ადგილობრივმა მიწის-მიჯნავმა ურჩია ლინკოლნს, რომ ის მოხმარებოდა ნუ-სალემის გარემოს გამიჯვნაში; თუმცა ლინკოლნს საჭირო გეომეტრიული სწავლა არა ჰქონდა, მაგრამ მაინც დაეთანახმა მიწის-მიჯნავის რჩევას, რადგან გაჭირვებაში იყო. ლინკოლნმა მიწის სამიჯნავო სწავლასაც ხელი მიჰყო და ამაშიაც მალე შეიქმნა დახელოვნებული; იმან მოიპოვა საჭირო ავეჯები და გულსმოდგინეთ შეუდგა ამ ახალს საქმესა, რომელმაც კარგი სარგებლობა მისცა, ამისთვის რომ ის კეთილ სინდისიანათ ასრულებდა თავის საქმესა და ილლინოისში იმდროს ძალიან ეძებდნენ მიწის-მიჯნავებსა. გარდა იმისა რომ მიწის-მიჯნავს უნდა ჰქონოდა დიდი სწავლა სამიჯნავო საგნებში, ლინკოლნმა კიდევ დიდი ჯაფა და უწესო მდგომარეობა გამოსცადა.

ლინკოლნი ერთხელ, ცოტა აკლდა, კიდეც არ დაილუპა! როცა იურიდიკულს საგნებში იმდენათ მოემზადა, რომ ადვოკატობაზე ეგზამენის დაჭერა შეეძლო, სამიჯნავო მუშაობაც ამდროს გაუთავდა. ეს იყო 1836 წელს. მაშინ ლინკოლნმა საბოლოოთ აირჩია თავის მოქმედების ასპარეზი, მინამ საპოლიტიკო ასპარეზზე გამოვიდოდა. ამ სახით ოცდა შვიდს წლამდის ის იყო შეშის მჭრელათ, ბარქასზე მუშაკაცად, დუქანში პრიკაშჩიკათ, ვოლონტერების კაპიტნათ, მიწის მომიჯნავეთ,—ცოტახანს პოჩტის მეისტრათ და ბოლოს შეიქნა იურისტათ. მაგრამ ადვოკატობის მოსაპოვებლათ იმას კიდევ ბევრი უნდა ეშრომა: რადგან დღე მოცლა არ ჰქონდა, კანონები ღამ-ღამე უნდა ესწავლა ხოლმე. ამ რიგათ ის ხშირად ათევდა ხოლმე ღამის რამოდენსამე ნაწილსა. ამას გარდა იმას უნდა გაეწია დიდი შრომა ამერიკელ კანონების სწავლაში, რადგან ანგლიასავით, იქაც ყოველგვარი დაწესებულება ერთათ არ არის შემუშავებული და ყველა მოუგროვებლათ, ვინ იცის, სადა და სად არის გაბნეული საქმეებში. ლინკოლნი გაუდრეკელის ნების კაცი იყო და, რაკი ერთხელვე განიზრახა თავის მდგომარეობის გამჯობინება, მინამ ამ განზრახვას არ აასრულებდა, შრომას არ მოიშლიდა. ერთს ევროპელს აფიცერს რომ იმან პასუხი გასცა, ამაში ცხადათ იხატება, თუ რანაირის აზრისა ყოფილა ლინკოლნი. აფიცერს ჰსურდა ერთს ამერიკელს პოლკში ემსახურნა და, როცა პრეზიდენტს ლინკოლნს გამოეცხადა, სხვათა შორის უთხრა, რომ მე ძალიან ძველი გვარის აზნაური ვარო.—„ნუ გეშინიანთ,—უთხრა პრეზიდენტმა—ჩვენში ეგ არ დაგაბრკოლებსთ“. გადმოვსწერთ კიდევ აქ ერთს ადგილს ლინკოლნის სიტყვისას, რომელიც ბოლოს დროს პრეზიდენტობაში იმას წარმოუთქვამს. აი რა რიგათ ამბობს იმაზე, თუ რანაირათ უნდა იმოქმედოსო კაცმა, რომ დამოუკიდებლობა მოიპოვოსო ცხოვრებაში. „როდესაც ყმაწვილი კაცი იმ დრომდის მიაღწევს, რომ მზრუნველობიდგან გამოსვლას დააპირებს და ამასთანავე იმას თუ ორი ღონიერი ხელების მეტი არა აქვს რა და თუ გარჯა გულს-მოდგინეთ ჰსურს, აგრეთვე თუ არც საკეთებელი აქვს რამე და არც ადგილი, მაშინ იმან უნდა მოსძებნოს სადმე ქირით სამუშაო, მაგრამ ისე კი, რომ იმისს შრომას შესაფერი ჯილდოც მოჰქონდეს. რადგან თავისუფლათ შეუძლიან აღირჩიოს სამუშაო საგანი, იმას გულს მოდგინეთ მუშაობაც შეუძლიან, ზომიერათ ცხოვრება და ამ რიგათ ერთი ორის წლის შემდეგ ცოტა ფულიც გაუჩნდება. მერმეთ ის იყიდის მიწას, საოჯახოთ მოეწყობა, ცოლს შეირთავს, დროსა-და-დროს განმავლობაში კაპიტალს იშოვნის და მერე თვითონ დაიწყებს მუშების დაქირავებას, რომელნიც იმგვარათვე მოიპოვებენ დამოუკიდებლობას, როგორც იმათმა აღ მ“.

რასაკვირველია ეს გზა ამერიკაშიაც ყოველთვის არ გამოდგება. თუმც იქ სრული სამოქალაქო თავისუფლებაა დამყარებული, მაგრამ წარმატება მაინც დაბრკოლებას ვერ აიცდენს და არც ისე მოკლეს დროს შეუძლიან კაცმა ხვირიანათ ხელი წაიწყოს: ბევრში თვითონ ლინკოლნის ცხოვრებაც გვიჩვენებს ამის მაგალითს. მით უფრო დიდი დაბრკოლება სდევს კაცსა ამ გზაზე ძველს ქვეყანაში, თუმცა ძირითადი აზრი ლინკოლნისა მაინც მართალია და თვითონ ისიც ამ მაგალითისამებრ წარმატებული შეიქნა ცხოვრებაში. ლინკოლნი ჰხსნიდა და გადასწყვეტდა იმისთანა საზოგადო ცხოვრების გამოცანაებსა, რომელნიც ჩვენ დროში პრაკტიკულათ კაცს არ აუხსნია. ერთს თავის საპრეზიდენტო ეპისტოლეში კონგრესის მიმართ აი რა დამოკიდებულება გამოჰყავს კაპიტალსა და შრომას შუა: კაპიტალი რომ მხედველობაში არ ვიქონიოთ, ყველაზე მაღლა და ყველაზე წინ სდგას შრომა: კაპიტალია, შრომის ნაყოფი და წინათ რომ შრომა არა ყოფილიყოსო, კაპიტალის სახელი ქვეყანაზე არცკი იქმნებოდა. ამისგამო თუმცა კაპიტალსაც თავისი სიმართლე აქვს, მაგრამ შრომა მაინც იმაზე მაღლა სდგას და ჩვენთვისაც დიდი საყურადღებოა“.

(შემდეგი იქნება).

(*) იურიდიკული მეცნიერება—სჯულთ. მეცნიერება, სჯულის ცოდნა; იურისტი—სჯულის მცოდნე. იურისპრუდენცია—სჯულთ-მეცნიერება.

აზრი ფაზელის თხზულებაზედა „შოშია.“

(„დროების“ № 17)

ჩვეული სევდა ფაზელისა განმაკვირვებდა,
ჭკვიანურს აზრსა, კარგს ზნეობას მომაგონებდა,
მასვე სევდაში შერეული დიდი გონება;
აღვსილსა გრძნობას, ვრცელსა ცნობას ეთანხმებოდა.

ვინც წაიკითხავს შოშიას ბედს, და პყრობილებას,
და ფაზელისგან მწარე ფიქრებს და გამოხატავს,
ყოველს მგრძნობელსა ეგონება, იმის გულიდამ
შეუგლეჯია ნაწილები და გარდუბეჭდავს;

კიდევ მოველი იმ წყაროდამ წყურკილის მოკვლას,
საიდგანაცა ვიგრილებდი გულისა ოხრვას,
რომელიც ჩვენის გულის სილრმიდგან მომდინარებდა
და სახე იგი გულის გრძნობას განალვიძებდა.

ვაი მას! უნუგეშოს და უიმედოს,
სადაც ვერ ჰპოებს, თანამგრძნობელს და საიმედოს,
როგორც შოშია გალიაში, შიგ მოემწყვდიოს
და ვერა ოდეს მხიარულებით ველარ იმღეროს.

ს. ერისთავი.

სახაზინო განცხადება.

Закавказскій Вѣстникъ № 83)

1) მისის იმპერატორების უმაღლესობის დიდის მთავრის კავკასიის ნამესტნიკის ნება-რთვით 1868-ს წელს 5 იანვარს დანიშნულია ტორგი სახაზინო პალატაშიდ ლარსის ციხეშიდ საყარაულო სახლის აშენების იჯარით გაცემისათვის;—ეს ციხეა ვლადიკავკასის გზაზედ. ვისაც ამ ტორგზედ დასწრება ჰსურს, იმან კანონიერი ზალოგი უნდა წარმოადგინოს.

2) რადგან ტფილისის მოქალაქე ხუდატ—ხუდატოვი რიგიანათ ვერ კრეფავდა საქციზო ჯარიმას იმ სასმელებზედ რომელნიც ქალაქს ნუხა და ბაქოს ღუბერნიაში შემოჰქონდათ, ამისთვის კავკასიის აქეთის სახაზინო პალატაში დაინიშნა ტორგი ამ წლის 20 ნოემბერს იჯარით გაცემისათვის ზემოხსენებულის ოტკუპისა ვისაც ამ ტორგშიდ დასწრება ჰსურს, იმან უნდა წარმოადგინოს კანონიერი ზალოგი.

3) მისის იმპერატორების უმაღლესობის დიდის მთავრის კავკასიის ნამესტნიკის ნება-რთვით კავკასიის აქეთის სახაზინო პალატაში დანიშნულია ტორგი ამ წლის 24 ნოემბერს იჯარით გაცემისათვის საქციზო ჯარიმისა, რომელიც უნდა მოიკრიფოს ქალაქს თემირხანშურაში შემოტანილის სასმელებიდგან.—ვისაც ამ ტორგში დასწრება ჰსურს, ტორგის დაწყებამდის უნდა წარმოადგინოს კანონიერი ზალოგი.

4) კავკასიის აქეთის შესანახავს დამოჟნაში ამ წლის 27 ნოემბრიდგან დაიწყება გასყიდვა საუკეთო ტორგით სახაზინოთ ჩამორთმეულის საქონლისა: ჩითებისა რიცხვით 54 ნაჭერი, რომელნიც იწონიან 7 ფუთს და 1 ქირვანქას, და 160 უჯრა ფისტონისა.

5) თელავის უეზდის სუდმა გადასწყვიტა საზოგადო დაფასებით გასყიდვა ნახევარის უძრავის ქონებისა, რომელიც ეკუთვნის სიგნახის მცხოვრებლებს იოსებს და ივანე პეტრუზოვებს. ეს ქონება შეიცავს ორ ეტაჟიანს ქვით-კირის სახლსა კრამიტით გადახურულსა. ამ ქონების გასყიდვის ვადა დანიშნულია მომავალის წლის 16 იანვარს. ვისაც ჰსურს ამ ქონების მოპოება, ისინი უნდა გამოცხადდნენ თელავის უეზდის სუდში, სადაც შეუძლიანთ იხილონ დაწვრილებითი სია ამ ქონებისა.

ქართლის და იმერეთის უწმინდესის და უმაღლესის სინოდის კანტორაში 20 ... ტორგი, სადაც იჯარით გაიცემა ... ქართლისათვის 1000 ფუთი წმინდა სანთლის დამზადება მომავალს 1868 წლისათვის. ამ იჯარის პირობები მსურველთ შეუძლიანთ დაწვრილებით შეიტყონ ზემოხსენებულის კანტორის კანცელარიაში დილის 9 საათიდგან 2 საათამდინ სადილს უკან.

საბიბლიოგრაფიო ცნობა.

ვეფხვის-ტყაოსანი

ტფილისში: მელიქიშვილის და კამპანიის სტამბაში; ბერეშტამის, ალადათოვის და ენფიაჯიანცის საწიგნო მაგაზინებში.

ქუთაისში: უფ. ბერ. ქალანდარიშვილთან და ხელთუფლიშვილის მაღაზიაში.

ფასი ათი შაური.

მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, აგრეთვე ბერენშამის და ალადათოვის წიგნის მაგაზიებში ისყიდება შემდეგი წიგნები:

ჩოლნგური. ნ. ბარათაშვილის, ილ. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის და სხვა მწერლების ლექსების კრება, შედგენილი კ. ლორთქიფანიძისაგან. ფასი ერთი მანეთი.

თ. გიორგი ერისთვის თხუზულებანი, ავტორის პორტრეტით. ნაწილი პირველი. ფასი ერთი მანეთი.

ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, მოსწავლეთათვის შედგენილი იაკობ ბოგებაშვილისგან. ფასი ორი შაური.

ამბები ძველის დროების ხალხებისა. ნაწილი პირველი. უწმინდელი ინდოელები და ეგვიპტელები. რუსულიდამ ნათარგმნი. ფასი სამი შაური.

საქართველოს კალენდარი, შედგენილი ნ. ავალიშვილისაგან. ფასი ათი შაური.

დასაბეჭდათ მზადდება:

ანბანის შემდეგ მეორე საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის, იაკობ ბოგებაშვილისა.

ამბები ძველი დროების ხალხებისა. მეორე ნაწილი.

კალენდარი 1868 წლისა. მდივანოვისა.

თ. გიორგი ერისთვის თხუზულებანი, ნაწილი მეორე.

კერძო ბითი განცხადება.

ბურული მებატონე მაიორი თავადი მიხეილ ქაიხოსროს ძე ერისთავი თორმეტის წლის ვადით ქირით აძლევს ორ ნაჭერს მიწას: ერთი ნაჭერი ქუთაისიდგან ხუთს ვერსზეა და მდებარებს ბუბის-წყლის პირზე; მეორე ორპირიდგან ათს ვერსზეა და მდებარებს სოფელს საჯავახოს, ხევის წყლის პირზე. ამ მიწებზე გაშენებულია თუთა, ხეხილი და ვენახი. პირველი ნაჭერი სივრცით ორასი დესეტინაა და მეორე ნაჭერი—ასი დესეტინა. ვისაც ჰსურს ეს მიწები იქირაოს და უნდა პირობის შეტყობა, იმას შეუძლიან მისწეროს წიგნი ქ. ქუთაის საკუთრათ ერისთვის სახლში.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 3-го ноября 1867 г. ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. რედაქტორი ბ. წერეთელი. გამომცემელი ს. მელიქიშვილი.